№ 119
პარასკევი, 9 ივნისი 1895

გაზეთის ფასი:

| წელ. | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 119
პარასკევი, 9 ივნისი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

**«ივერიის» რედაქციისაგან:** ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

ისყიდება
ახალი წიგნი
**ორი პიესა**
იერ. გუდასაშვილისა.
1) ცხოვრება ბრძოლაა
2) დრონი მეფობენ.
ფასი ათი შაური.
(5—2).

კვირას, 11 ივნისს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში მოხდება **კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა** შემდეგ საგნების განსახილველად:

1) წარსულის წლის ანგარიში;

2) მომავალ-სეზონის სავარაუდო ანგარიში;

3) გამგეობის წევრთა ამორჩევა და 4) საზოგადოების წევრთა ამორჩევა.

პატივ-ცემულ საზოგადოების საცნობლად უმორჩილესად ვაცხადებ, რომ 10 ივნისიდგან დაიწყება ნოქალაქევის სამკურნალო წყლებზედ მიმოსვლა (ქუთაისის გუბერნიის, სენაკის მაზრისა). სადგომები ორ-ნაწილად უკეთ შეკეთებულია შარშანდელზედ; სასმელ-საჭმელი და მოსამსახურე ძლიერ იაფად იშოვება, და თუ საჭიროება მოითხოვს, ექიმის მოყვანაც ადვილად შეიძლება ახალ-სენაკიდგან.

პატივ-ცემულთ სტუმართ შეუძლიანთ დ. ახალ-სენაკის რკინის გზის სადგურით მობრძანდნენ,

ნოქალაქევის მადნის წყლების მოიჯარადრე
ლ. მ. ქავთარაძე.
(4—1385—4).

## ახალი ამბავი

—

*** ამ დღეებში რამდენიმე ქართველი მოღვაწე და მწერლები შეიკრიბებიან, რომ პატივცემულისა და ჩვენის სასიქადულო მგოსნის თავად რაფაელ ერისთვის საიუბილეო კომიტეტი აირჩიონ. ჰფიქრობენ, რომ იუბილე სექტემბერზედ ადრე ვერ მოხერხდება, რადგან ყოველმა საქართველოს კუთხემ და ყველგან, სადაც-კი ქართველნი არიან, უნდა შეიტყოს ეს დღესასწაული და ღირსეულად მოიფიქრონ, თუ როგორ სცენ პატივი ჩვენს მოხუცსა და შესამჩნევს პოეტს.

*** „ივერიის“ რედაქტორმა მიიღო წერილი დოქტორ ჰუგო შუხარდტისა. ბ. შუხარდტი პროფესორია გრაზის უნივერსიტეტისა, წევრი ვენის იმპერიალ აკადემიისა და კორესპონდენტი საფრანგეთის ინსტიტუტისა. პროფესორი თხოულობს ჩუბინაშვილის თხზულებას „ეტნოგრაფიულ განხილვას ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“, რომელიც იბეჭდებოდა „ივერიაში“ 1884, 1885 წ.; თხოულობს აგრეთვე სხვა რამ ცნობას დაბეჭდილს „ივერიაშივე“ ქართულის ენის შესახებ, რათა, დასძენს პროფესორი, მე დიდი ინტერესი მაქვს ქართულის ენისა. ბ-ნ შუხარდტს შეუსწავლია ცოტად უკვე ქართული. წერილში, სხვათა შორის, ის ქართულად იწერება: ახლა დავაწყებ კითხვას თქვენს წერილისა; „გლადიკაკვასიდამ ტფილისამდე“; მაგრამ ძალიან ძნელია ჩემთვის. თქვენი აღმატებულების პატივის-მცემელი.

იმედი ვიქონიოთ, რომ ბ-ნი შუხარდტი შეისწავლის ქართულს ენას და გააცნობს სხვებს ჩვენის ქვეყნის ნაშთებს, რომელთაც ბევრნი პირნი ვერ იცნობენ. მაშ დავულოცოთ, მკითხველო, გზა ბ. პროფესორს და ვუსურვოთ სახელი მოეხვეჭოს ამ სარბიელზედ.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატაში 6 ივნისს გაირჩა საქმე ნიკოლოზ ივანეს ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვისა, რომელსაც ნივთების საწყობის დარაჯის გაძარცვა ჰბრალდებოდა. წარსულის წლის 6 აგვისტოს ნავთლუღში თავადი არღუთინსკი უკანიდგან დაეცა ნივთების საწყობის დარაჯს და დაუწყო რჩობა. მერე ამოაცალა ჯიბიდგან 66 მანეთი ფული და გაიქცა. ყველა ამას კარგად ხედავდა მახლობლად მდგარი დარაჯი ჯარის-კაცი ჩიგიროვი, რომელმაც სტვენა ასტეხა. ხმაზედ მოირბინა ჯარის-კაცმა ტერ-ადრიანოვმა. ტერ-ადრიანოვი თავ. არღუთინსკის გამოეკიდა. რომელმაც რაკი დაინახა, რომ მისდევდნენ, ფული გადააგდო, ფული ტერ-ადრიანოვმა აიღო, მაგრამ 66 მანეთის მაგიერ 50 მანეთი და აღმოჩნდა. მეორე დღეს თავ. არღუთინსკიმ უკლოვს დაუბრუნა დანარჩენი თექვსმეტი მანეთიც, ჯარის კაცთა ჩიგიროვისა და ტრემბიცკის თანადასწრებით.

ოლქის სასამართლომ, განიხილა რა საქმე 15 მარტს, 1895 წელს, თავად ნიკოლოზ არღუთინსკი დამნაშავეთა სცნო და ყოველივე უფლების ახდის შემდეგ ციმბირის არა შორეულს ადგილებში გადასახლება მიუსაჯა. სამოსამართლო პალატამ ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება დაამტკიცა.

*** ივნისის 8-დგან ფასი ძროხის ხორცისა პირველის ხარისხისა გირვანქა 7 კაპეიკად გაიყიდება, სუკი 12 კაპ. და ცხვრის ხორცი 8 კაპ.

*** ბორჯომის შუშეულობის ქარხანა, რომელიც თავ. ივანე ქაიხოსროს ძის აბაშიძისა და ინგლისელ კაპიტალისტებისაგან შენდება ამ ჟამად დიდის მთავარს მამულში, მალე დამთავრდება. თვით ბორჯომის წყლისათვის შეკვეთილი აქვს ქარხანას ახლავე ერთი მილიონი ბოთლი საუფლისწულო დაწესებულებამ და თავ. კ. ი. მუხრან-ბატონმაც შეუკვეთეს ქარხანას საჭირო ჭურჭლის გაკეთება. აგრეთვე ქარხანას შეეძლება თითქმის მთელის კავკასიისათვის საჭირო ჭურჭლისა და მინების შემზადება. უმთავრესი საჭირო მასალა ქარხნის წარმოებისა—სილა, საუკეთესო თვისებისა აღმოჩენილა.

*** 1892 წ. სომხების წყალკურთხევის დღესასწაულზედ ხიდის ჩატეხის გამო ოლქის სასამართლოში დამნაშავედ მიწვეულნი იყვნენ მღვდელი კონსტანტინე არარატიანცი და ხიდის მოიჯარადრე, მნაცაკან მელიქოვი. ოლქის სასამართლომ ორივენი გაამართლა. მაგრამ პროკურორის ამხანაგმა ე. ნ. ხლოდოვსკიმ საქმე სამოსამართლო პალატაში გადაიტანა.

საქმის გარჩევა ორშაბათს, 13 ივნისს, არის დანიშნული.

*** კახეთის მემამულეთ განუზრახავთ შეადგინონ ესრედ წოდებული „კახეთის მეურნეთა საზოგადოება“. პროექტი წესდებისა უკვე დაბეჭდილია. საზოგადოების უმთავრესი აზრი არის: მისცეს შეძლება სოფლის მეურნეთ, რომ თავისი ნაწარმოები პირ-და-პირ მხარჯველს მიაწოდონ. საზოგადოების წევრად შეუძლიანთ იყვნენ კახეთის სოფლების მეურნენი. როცა საზოგადოება მკვიდრს საფუძველზედ დადგება, მაშინ წევრებად მიიღებიან აგრეთვე ტფილისის გუბერნიის სხვა ადგილების მეურნენიც. პროექტი შეუძლიანთ განიხილონ ყველამ, ვისაც-კი ეინტერესება ეს საქმე და შემდეგ მისის განკარგებისა და შესწორებისა წარდგენილ იქნება, სადაც ჯერ-არს, დასამტკიცებლად.

*** ბორჯომის ადგილების მოურავად დაინიშნა ა. გ. არდასენოვი, რომელიც აქამდის მოურავის თანაშემწედ იყო. წინად არდასენოვი ქუთაისის მხარეს ტყის-მცველის თანამდებობას ასრულებდა და დაახლოვებით შეისწავლა ადგილობრივი სატყეო მეურნეობა.

*** ქუთაისიდგან თორმეტის ვერსის მანძილზედ აჯამეთის ტყეში, 27 მაისს, თორმეტმა ყაჩაღმა ორ დასად ჩასაფრებულმა გაძარცვეს ცხრა მგზავრი და ხუთი დასჭრეს.

*** ს. როკითი: ხანის-წყალზედ ხიდი გააკეთეს. აქნობამდის ხიდის უქონლობა დიდად აწუხებდა მცხოვრებლებს, რადგანაც რვა სოფლის ხალხს, უხიდობის გამო, სამი საათის მაგიერ უნდა ერთი დღე ეარა, რომ ქუთაისში მოსულიყო.

## დამაკვირდი

—

ისეთის ხალისით არაოდეს არ ვაძლევთ სხვას რასმეს, როგორც ცალიერს ხელს.

**

ჭკუა მოხუცებულობის სიჭაბუკეა.

## კორესპონდენცია.

—

**ს. ხოტევი,** (რაჭის მაზრა). სოფ. ხოტევი მდებარეობს ორ პატარა მთის გვერდებზედ. ამ სოფელს უწინ „ხევის უბანი“ რქმევია სახელად და მერმე დაჰრქმევია „ხოტევი“ შემდეგის შემთხვევის გამო: ერთს იმერეთის მეფეს გადმოუსახლებია აქ თავადნი წულუკიძეები, რომლებსაც უშენებიათ ციხე. როდესაც ციხის შენება დაუთავებიათ იმ დროს მეფეს გზად გამოუვლია იქითკენ, შესულა ციხეში და უკითხავს თავადებისათვის: „ხო ტევიხართ ამ ციხე-[illegible] ქმევიათ ამ ციხისათვის „ხოტევის ციხე“ და აქედგანაც სოფელს მიუღია სახელი „ხოტევი“. ეს სოფელი საქები არის ზომიერის ჰავით და ცივის წყაროებით; სუფთა შენობები პატარა ეზოებით, წმინდა ქვიშიანი ქუჩებით, შუა სოფელში მშვენიერი ქვითკირის ეკკლესია არის. ციხე მაღლიდგან მედიდურად დასცქერის მას თავზედ. ციხის მახლობლად თავადებს აუშენებიათ ქვითკირის ეკკლესია მაცხოვრის სახელზედ, რომელიც ისეთი პატარა არის, რომ ოც-და-ათი კაცი თუ მოთავსდება, თორემ მეტი არა. ამ საყდრის კედლები ძველი მხატვრობით არის აჭრელებული. მხატვრობის ზევითა ნაწილი კარგად ეტყობა დღესაც, ქვემოთი-კი წაშლილა. ეკკლესიას ორი კარი აქვს. დასავლეთის კარებთან არის შემდეგი ძველი წარწერა: „ჰოი სამებით ქადაგებულო მიუწდომელო და გარე-შემოუწდომელო სიტყვაო და ძალო და თანა არსო მამისა და სულისა და წმიდისაო მაცხოვარო, პირო ღვთისაო, რათა ვიგულეთ და აღვაშენეთ ეკკლესია ესე შენი ჩვენ წულუკიძემ მერაბ და თანა მეცხედრემ ჩვენმა ჩიჯავაძის ქალმა სახსოვრად და საოხად სულისა ჩვენისათვის და ძეთა ჩვენთა გიორგის და ქაიხოსროს წასამართებლად, აღვაშენეთ და დავახატვინეთ, შევამკევით ხატითა, ჯვარითა და წიგნითა მაცხოვარო ხოტევისაო ტაძარი შენი და შეიწირე ჩემი ცოდვილის სულის შესანდობლად კნინი და მცირე შესაწირავი ესე—ვინც შენდობა გვიბრძანოთ, ღმერთმა თქვენც შეგინდოსთ თქვენი ცოდვანი—აღიშენა ეკკლესია ესე სამას სამოც-და-ოთხსა წელსა“.—სამხრეთის კარებთან არის შემდეგი წარწერა:

„ჰე, მაცხოვარო გვედრივარ მე
მერაბ შენის დიდებით
ჩვენ გვართა ჰქონდათ ეს რაჭა მრავალი კიდის კიდემდის
მეც, შევმატე მრავალი არც მტერთა
გარდაკიდებით
აწ ნახეთ რა ვქენ ყმაწვილმა სოფლისა ანაზიდებით
პირველ ოდიშსა დავიპყარ მამული
მეტად ბევრია
მერმე აქ ჩემი სამკვიდრო, ყველგან
მოვშალე მტერია
იწრო მთას აქეთ ხონამდის და ხონიც შიგან ერია
და აწ ნახეთ ესე სოფელი თუ როგორ ბედნიერია
მე დადიანმა გამზარდა ლევან ღვთის
დოვლათიანმა
სრულ მას მონებდა ქვეყანა დაიპყრო მრავალთ ძიანმა
სწორ უპოველმან ხმელეთზედ ჩან
ჰკვიანმან და ხრმლიანმან
ნახეთ რა უყო სოფელმან ამ მუხანათმა ზიანმან
შვილურად მზრდიდა მასწავლა ზნეობა ყოველ წესები
ნახეთ სოფლისა სიცრუე სიზმარ ყო-[illegible]
არ მიაჩნია წყეულსა უარეს უკეთესები
და არვის გაუთავდების წველი გლახ
დანაკვესები·“

ქიტესაძე.

—

**ქ. ქუთაისი.** ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, თუ რა უბედურება ეწვია ქ. ქუთაისის საზოგადოებას 1894 წლის უკანასკნელ თვის რიცხვებში. ეს უბედურება გახლდათ ჩვენის ქალაქის ერთად ერთის თეატრის დაღუპვა, რომლის კოხტად და ლამაზად მორთული შენობა ერთის საათის განმავლობაში ჩვენისავე თვალის წინ ფერფლად გვიქცია შეუბრალებელმა ცეცხლის სტიქიონმა. იმ დროს დაზარალებულად ყველას მარტო თეატრის არენდატორები მიაჩნდა, მაგრამ გავიდა რამოდენიმე ხანი და ბატონ თეატრის არენდატორებმა მიიღეს თავის ნაზარალევში ქალაქის კასიდამ 3,500 მანეთი ნაღდი ფული; მართალია ეს ჯამი არ შეადგენს ნახევარზედ მეტს იმ ზარალისას, რაც მათ მოუვიდათ, მაგრამ სხვების ზარალთან შედარებით ისინი არ უნდა ჩაითვალონ დაზარალებულად. მაშ ვინღა არის აქ დაზარალებული. დაზარალებულა ქალაქი: დაეწვა მას თავისი საკუთარი კოხტად აგებული თეატრის შენობა და მაგიერის აშენებაც მანვე უნდა იკისროს. მაგრამ უბედურებაც ეგ არის, რომ ჩვენი ქალაქის გამგეობა ძალიან გულცივად უყურებს ამ სამაგიერო თეატრის აშენებას. აგერ უკვე მეოცეჯერ იქნება, რომ ჩვენმა ქალაქის ხმოსნებმა გარდასწყვიტეს ხარაზოვისეულ თეატრის შეკეთება (რომელიც ეხლა ქალაქის საკუთრებას შეადგენს), ფულიც გადადვეს ამის თაობა-

ზედ 6,520 მანეთი; მაგრამ როგორც ეტყობა ჩვენი ხმოსნების გარდაწყვეტილების საქმედ ქცევა ისე ადვილი არა ყოფილა, როგორც მისი დარღვევა. გასაკვირველია სწორედ ამ მხრით ჩვენის ხმოსნების საქციელი, თუ ყოველთვის ამ რიგად ასრულებენ მათ გარდაწყვეტილებას. მაშ რაღა ხმოსნების უფლება აქვთ მინიჭებული, თუ თავიანთის გარდაწყვეტილების საქმედ ქცევა არ ძალ-უძთ. ვინც უკანასკნელ ქალაქის საბჭოს კრებას დაესწრებოდა, ის უსათუოდ გაიგებდა, რომ ქალაქის გამგეობას არ სურს გადაკეთება ხარაზოვისეულ თეატრისა; და მის მაგიერ-კი უნდა ააშენოს სრულიად ახალი უზარ-მაზარი თეატრი, რომლის დასრულება შეიძლება მეორმოცე საუკუნეში მოხდეს. ვინ იტყვის, რომ ახალმა თეატრმა არ აჯობოს ძველსა, მაგრამ ქალაქს როდესაც 6,520 მანეთის გამოღებაც-კი ვერ მოუხერხებია მამულის დაუგირავებლად, მაშ როგორღა უნდა ააშენოს ახალი თეატრი, რომლის შენობა ქალაქის შედგენილ გეგმით უკანასკნელი 50,000 მანეთი უნდა დაჯდეს? ვაი თუ ამნაირის მოსაზრებით ჩვენმა ქალაქის გამგეობამ ხალხური ანდაზა აასრულოს და „ორი კურდღლის მდევარმა ერთიც დაჰკარგოს." არა სჯობდა, რომ ჯერ ხარაზოვისეული თეატრი განეახლებინათ 6,520 მანეთით და შემდეგ ეფიქრათ ახალის თეატრის აშენებაზედ, რომლის განხორციელება მარტო ფანტაზიის ძალით შეუძლია წარმოიდგინოს ჩვენმა ქალაქმა? ნუთუ [illegible] წლის უთეატროთ დარჩენა და კიდევ შემდეგისთვისაც უნდათ რომ დაგვტოვონ? მაშ სხვა რომელი ლონდონის „მიტინგები" იმართება ჩვენს ქალაქში, თუ ეს ერთად-ერთი ხალხის გონება გასავითარებელი სკოლაც ხელიდგან უნდათ რომ ჩამოგვაცალონ! თქვენ, თითონ წარმოიდგინეთ, ბატონებო, თუ რა იქნება ქალაქი უთეატროდ.

ი. გ—ლი.

## ჩემს მეგობარს.

რად ჰკიცხავ, ძმაო, საწუთროს,
თუ არ ხარ ცუდად ყბედია,
მან რა ქნას, რომ შენ მხეცივით
თავს ჰხრი, ვერ აგიხედია?

—

მიმოიხედე შენს ირგვლივ,
გაიცან სოფლის ტრიალი
და დიდებულსა ძველს დროშას
დააწყებინე ფრიალი.

—

მხოლოდ-კი, ძმაო, იმ დროშას
ეს მცნება წააწერევი:
„მტრის ლაშქარსა და გამცემელთ
ბასრ ხმლითა გადავერევი;

—

„მოყვარესა და მეგობარს
პირშიგან შველა ღვთიური,
ჯერ შრომა, მერე მოლხენა,
ზე-აღმაფრენი, ციური!..

—

თუ ესე მცნება შენს დროშას
დააქვს ქვეყნისა პირადა,
მაშინ თავს მაღლა აიღებ,
პირს თვით დაჰხვდები პირადა.

დ. ნინოწმინდელი.

## სოფლის მასწავლებლების შესახებ.

როგორც გვაუწყებს გაზეთ „სასულიერო მოამბის" ამა წლის მე-10 №-ი, სახელმწიფო საბჭოს დადგენილებისამებრ საქართველოში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების მასწავლებელთ ენიშნებათ პენსია და დროებითი შემწეობა, რომელიც შესდგება მასწავლებლების ჯამაგირიდგან ორი პროცენტის გამორიცხვით და აგრეთვე იქიდგან, რომ საზოგადოება თავისის შეძლებიდგან წელიწადში ორი ათას მანეთს გადასდებს. საბჭოს დადგენილება ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა და მისი აღსრულებაში მოყვანა ამ წლის თებერვლის ოციდგან დაიწყება.

ეს ამბავი სწორედ რომ სასიხარულოდ უნდა ჩაითვალოს ჩვენთვის, რადგანაც პენსიის დანიშვნით ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სოფლის სკოლის მასწავლებლის სამსახური უფრო მკვიდრ ნიადაგზედ დადგება, მისი ნივთიერი მდგომარეობა ცოტად თუ ბევრად გაუმჯობესდება და მაშინ მასწავლებელიც, რასაკვირველია, ეცდება, რომ სკოლის საქმე უფრო კარგად წაიყვანოს. აქამდის მასწავლებელი მხოლოდ ოცდა-ხუთ მანეთს ჯამაგირს შესცქეროდა. როგორ უნდა შეენახა ცოლშვილი საბრალო მასწავლებელს ამ მცირე ჯამაგირით, ან შვილები სკოლაში როგორ უნდა გაეზარდა და ან მოხუცებულობის დროს, როდესაც იგი სამსახურს ვეღარ შესძლებ[illegible]

ამიტომ დიდად სასიამოვნოა მთავრობის ამგვარი განკარგულება. არც ჩვენი სამინისტრო სკოლების მასწავლებელნი არიან კარგს მდგომარეობაში. მათთვის არც პენსია და არც სხვა რაიმე შემწეობა არ არსებობს. ამას ვინღა სჩივის, რომ საბრალონი თავის ნაშრომ მცირე თვიურ 20—25 მანეთ ჯამაგირს თავისს დროზედ იღებდნენ! ხშირად ხდება, რომ მასწავლებელი 5—6 თვეს უჯამაგიროდ არის მიტოვებული გაიძვერა მამასახლისის წყალობით და ამ ხნის განმავლობაში საბრალო იძულებულია დუქნის ნისიებით იცხოვროს. ბევრი თქმულა და ბევრიც დაწერილა გაზეთებში მათ გაჭირვებულ ცხოვრების შესახებ, მაგრამ ყველა ეს დარჩენილა მხოლოდ „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

მღ. ო—შვილი.

## თუშების თქმულებანი მეფე ერეკლე II-ის შესახებ.

სახელოვან ასპინძის ომში თუშებიც იღებდნენ მონაწილეობას. ერთმა თუშმა—დილრიძემ ისეთი ვაჟკაცობა გამოიჩინა, რომ მეფე ერეკლეს ყურადღება დაიმსახურა. როდესაც ქართველებმა მტერი შემუსრეს და ძლევამოსილნი ბრუნდებოდნენ სახლში, იმათ დაისვენეს წალკის სერზედ (ტფილისის მაზრა). აქ მეფე ერეკლემ მოიხმო გმირი დილრიძე და ჰკითხა: „შენ იმისთანა ვაჟკაცობა გამოიჩინე და ერთგულება გამოწიე ამ ბრძოლაში, ჩემო თუშო, (თუშების სიტყვით „ჩემო თუშო" ჩვეულებრივი მიმართვა იყო ერეკლესი), რომ ჩემი მხრით დაჯილდოების ღირსი ხარ. მითხარი, რა გსურს რომ აგისრულო?

—რა უნდა მსურდეს, ბატონო მეფევ, შენი სიცოცხლის მეტი"! მეფე კიდევ დაეკითხა—რა სურდა, მაგრამ დილრიძე მაინც ჯიუტობდა. მაშინ მეფემ გადაჰხედ[illegible]ის ფეხთ ქვეშ გაშლილს წალკის ხეობას და უბრძანა: „აი, ეს ხეობა მიჩუქებია შენთვის". თუშმა უარი უთხრა. დილრიძემ სთხოვა მეფეს, რომ წალკის ხეობის მაგიერ ებოძებია ერთი ხევსურის ხმალი. მეფემაც დაუკმაყოფილა სურვილი, ხევსურს გამოართვა ხმალი და სამაგიეროდ ამ ხმლის წონა ოქრო უბოძა.

თუშების თქმით ეს ხმალი აქვთ დილრიძის შვილის-შვილებს; ამ რამდენისამე წლის წინად მეც ვნახე ხმალი და ძალიან პირ-მოცვეთილი იყო.

ივ. ბუქურაული.

## სცენა

(სიღნაღის ვაჭართა ცხოვრებიდგან)

დილის ათი საათია.

სიღნაღელები დიდი თუ პატარა დიდს მოძრაობაში არიან, ზოგიერთს ჰორიკანებს მოუყრიათ მოედანზედ თავი და გააქვთ აუარებელი ყაყანი, საზოგადოდ დაუწყნარებლობა ჰსუფევს. ვაჭრებსაც, მართალია დაუგვდაუსუფთავებიათ დუქნის კარ-მიდამოები, მაგრამ ჩვეულებრივი „მუშტარი"—გლეხ-კაცობა აღარ ირევა იმათ დუქნების წინ. ბაზაზ მელიქასაც გაუღია თავისი დუქანი, კოპწია პატრძალსავით წამოსკუპებულა ყელმოღერებული იანაალზედ და აქეთ-იქით მელასავით „მუშტრის" მაცქერალი ხელში [illegible] ათადა თეის არშინს.

— ოჰ, მელიქას გაუმარჯოს! შეჰკივლა სოფლიდგან მოსულმა მასწავლებელმა.

მელიქამ მხოლოდ თვალები შეაჭყიტა და ხმა არ გასცა.

— მელიქ, რა დაგმართია კაცო? დაეკითხა კიდევ მასწავლებელი.

— ერთი ხელი აიღე მამა გიცხონდა და? რა დამმართებია, თითქო შენ კი არ იცი! თქვენგან რაღა არ უნდა დაემართოს კაცს, ძმაო?!. ისწავლით თუ არა წერა-კითხვას, მაშინათვე წამოავლებთ კალამს ხელს და მოჰყვებით გაზეთებში რაღაც ლათაიების ბღაჯნას!..

— არ მესმის, მელიქ, ვინ გაგაჯავრა ასე დილა-ადრიან? დაეკითხა კვალად მასწავლებელი.

— ვინ გამაჯავრა და თქვენ, თქვენისთანა მბღაჯნელებმა! ჰარიქაით, გაჰკივით, ვაჭრები ხალხს გვიძარცვავენ, ტყავს აძრობენ, ატყუებენო! ვა, ბიჭო, შე ოხერო, ვისაც აქ არ გესმის, თუ არ მოვატყუე, თუ ერთი რვაჯერ არ გავზომე ერთი არშინი ჩითი, მაშ რით მოვიგო, რით დავანარჩინო ჩემი წვრილ-შვილი? შენ გეკითხები, თქვენ გამომიგზავნით, თქვენ მაცხოვრებთ?.. ატყუებენო... მაშ სიმართლით ვინ გინახავს, რომ ყაბლუფლავის მაგიერ ბუზები არ ეყლაპოს?!.ერთი კიდევ ეს მაჩხანელებიო, ჯანდაბანი და დოზანებიო! მაიგონეს რაღაც ეშმაკი დეპო და დაგვსხეს ხახა გამშრალები... შვილო, რა გინდა ჩვენგან, ერთი ძროხა ხალხი ვსხედვართ ჩვენს მერცხლის ბუდეებში და ვართ ჩვენთვის, არც მტერს ვაწუხებთ და არც მოყვარეს... სადღაა ეხლა კვლავინდებული მუშტარი! აბა, ერთი შენის კეთილის თვალით გაიხედე, დაინახავ ვისმეს დუქანში შესულს, რომ ერთი-ორი გროშისა მაინც, ამ დილის სიფთაზედ, ივაჭროს რამე? არა! რატომ, იმიტომ რომ რაღაც ლათაიებით გადარიეს გლეხკაცობა, მაიგონეს ის ადრე და მალე დასაწველი დეპო და მშვიდობით მელიქ, იჯექ აი ასე უსაქმოდ და თვალე დილიდგან საღამომდისინ ბუზები. სად არის შენთვის მუშტარი!.. წინად-კი ჰზიხარ არხეინად ამ შენს მერცხლის ბუდეში, ვაჭრობ მთელი დღე, საღამოთი ჩაიდებ ჯიბეში დახლს და მიდიხარ შინისაკენ ჭრიკჭრიკით!.. აი, ისე დაექცეს ჩვენს მტრებს ოჯახი, როგორც ჩვენ დაგვღუპ-დაგვაქციეს თავიანთის ლათაიებით!!.

— მაშ, ეგ არის ჰა, მელიქ, შენი დარდები? სიცილით დაეკითხა მასწავლებელი.

— ვა, ჰაზირ, რა ლამაზად გეცინება. ერთი ჩემ გულშიაც ჩაიხედე და რა ცეცხლები ტრიალებს! მთელი დღე რომ ასე მუშტრის მაცქერალი ვზივარ, ლამის ჰკუიდგან შევიშალო... არა, მეც რომ აღარ ვიცი, რომელ წყალს მივსცე თავი! კაცო, ხალხის დაღუპვა იქნება და ასე, ღმერთი აღარა სწამთ! რას გვერჩი შვილო, შენ შენთვისა ხარ და დადექ რაღა ქერქში!.. წერა იცი, დაჯექ და ბღაჯნე მთელი ქვეყნის ლათაიები, ვინ გიშლის ის ოჯახდასაქცევი! რას ემართლები გლეხ-კაცობას, ვაჭრებს და სხვას?..არა, თითონ არ იციან იმათ, ვატყუებთ თუ არა, თვალები არა აქვთ, ვერა ჰხედავენ? რაღა შენი ლათაიები და გაზეთები უნდათ?.. ეჰ, შაიტყეს და რა ბრიყვი ხალხია და რაც უნდათ, იმას ეუბნებიან!...

— მაშ, ეხლა რასა ჰფიქრობ, ჩემო მელიქ? ჰკითხა მასწავლებელმა.

— ღმერთმა რო არ იცის ჩემი თავი! რასა ვფიქრობ და იმას, რასაც სხვა... ვფიქრობ რაღა, რომ მეც უნდა დავიჭირო ცხენის ურმები და სხვასავით მოვკურცხლო საითმე, ბედს უნდა გამოუდგე რაღა საძებნელად, მეტი რა ჩარა მაქვს, შენა გკითხამ! აქ რო აღარ გვასვენებენ, აღარც სხვაგან დაგვანებებენ თავს?

— საით აპირებ, მელიქ?

— ვინ იცის, ქვეყანა დიდია. მეტი ჩარა არ არის, ისევ ველისციხისაკენ უნდა მოვკურცხლო; რა ვიცი, ამბობენ, იქ ძალიან ბრიყვი ხალხიაო და გაზეთებისა არაფერი სჯერათო. სჩანს, როცა გაზეთების ლათაიები იმათ ყურში არ შესდით, ჩვენისთანა გაქცეული ვაჭარი კაცი იქ უფრო მოიკიდებს ფეხს. ისევ იმ ბრიყვს ხალხში თუ გავა ჩვენი ემმაკობა, თორემ მორჩა, ძაო, გაგვიცვდა ლილა, ქიზიყელებს ვეღარ და ვეღარ ვატყუებთ!

— ეგ კარგი აზრი მოგსვლია, მელიქ, რაც უნდა იყოს, ველისციხე დიდი სოფელია, მუშტარს საქმაოს იშოვნი, ანუგეშა მასწავლებელმა.

— ეჰ, მახლას, იქაც უნდა ვცადო ბედი, როცა ამ ოხერ სიღნაღში კვლავინდებული თაფლი ვეღარ გვიჭამნია, მაგრამ, თქვენისთანა ლათაიების მბღაჯვნელებს-კი ისე უნდა ვერიდოთ, როგორც ჭირს!.. ვა, ან კი ღირს რომ ამას იქით პატიოსანმა კაცმა ქრისტიანული გამარჯობა გითხრათ! სხვას ვინა ჩივის, ისეთი ოხერი დრო შეიქნა, იქნება ეს ჩემი დარდიც გაიგოს ვინმე და გაზეთში ლათაიათ ჩააგდოს, დასწყევლოს ღმერთმა იმათი თავი, კაცს თავისთვის აღარაფერს აფიქრებენ, ცეცხლი იქნება და ამისთანა?!

—

მართლაც და დღეს გაკოტრებულ თუ გაქცეულ ვაჭრებს ს. ველისციხე ახალ კალიფორნიათ გარდაჰქცევიათ და ყველა იქ მიეშურება დაკარგულის ბედის საძებნელად.

ნიკო ველისციხელი.

## მნათობის მარიხის შესახებ.

იმ გამოკვლევათ, რომელნიც უკვე ცნობილია, კიდევ უნდა მიემატოს შემდეგი გამოკვლევა, „ვესტნიკის" თებერვლის წიგნში დაბეჭდილი. ყველაზედ მეტი ყურადღება გამოიწვია კამპბელის გამოკვლევამ (ლიქსის ობსერვატორია ამერიკაში), რომელმაც მარიხის ატმოსფერის შესწავლა განიზრახა... და ეს ატმოსფერს-კი სრულიად ვერ ჰპოვა. ამავე დროს ევროპის საუკეთესო მეცნიერნი—ფოგელი, ჟანსენი და სხვანი დაბეჯითებით ამბობენ, რომ მარიხზედ ატმოსფერა არსებობსო და ამტკიცებენ კიდევაც სპექტროსკოპიულ გამოკვლევით. სპექტრაში, რომელიც მზის სხივებისაგან წარმოსდგება, მოსჩანან მკრთალი ხაზები ეს ხაზები დედამიწის სინათლისაგან მიმქრალებულნიდა არიან. ხსენებული ხაზები ძლიერდებიან და უფრო ნათლად მოსჩანან მარიხის სპექტრაში, მაშასადამე, მარიხის სხივები ორნაირს ატმოსფერაში გადიან (მარიხისა და დედამიწისაში.) მაგრამ კამპბელმა თავისს გამოკვლევაში ეს ვერ შენიშნა. კამპბელი მარიხისა და მთვარის სპექტრებს ადარებდა ერმანერთსა ად ვერავითარი განსხვავება ვერ შენიშნა ამ ხაზებში. მაგრამ ესაც რომ არ იყოს, ევროპის საუკეთესო ასტრონომები, რომლებიც გამუდმებით იკვლევენ ამ საგანს, ბეჯითად ამტკიცებენ ხსენებსულს საგანს. ამასვე ჰმოწმობს ამ მნათობზედ შენიშნული ყინულთა დნობა (რაც უატმოსფეროდ ყოვლად შეუძლებელია). ასე რომ კამპბელის შემცდარი გამოკვლევა უნდა მიეწეროს, როგორც ამას ჟანსენი ამბობს, მნათობთა სპექტროსკოპიულ გამოკვლევის სიძნელეს.

არიზონის შტატის ობსერვატორიის დამაარსებელმა ლოუელლმა ხამდვილად შენიშნა ყინულების დადნობის შემდეგ საზარელი ღვართქაფი მნათობ მარიხის სამხრეთს ნაწილზედ, მთები, ნათელი წერტილები რაღაც გამოურკვეველის სახისა (ღრუბლები და ბურუსი ფლამარიონ პერროტენელის მიერ შენიშნული და სხ.) და შესანიშნავი არხები. ლოუელლის აზრით, ახსნა ხსენებულ საგნების წარმომდინარეობისა შეუძლებელია; ეს უთუოდ მარიხის მცხოვრებთაგან გამოგონილი სარწყავი საშუალებანიაო.

ვილნუაზი-კი სრულიად უარსჰყოფს ლოუელლის გიპოტეზას მარიხზედ მცხოვრებთა შესახებ და თითქმის გაცხარებით და წყრომით შეჰნიშნავს, —რომ ამაზედ ლაპარაკი სულ მეტია, და თუნდაც ასე იყოს, ნეტავ, ვიცოდე ვის რას უშლიან ეს მარიხის მცხოვრებნიო? არხების არსებობას ვილნუაზი ბუნების კანონითა ჰხსნის: მნათობ მარიხის ქერქი უფრო ერთფეროვანია, ვიდრე ჩვენის დედა-მიწის ქერქი; ეს ქერქი ზოგან დამსკდარა ცენტრალურ ბუშტის შეკუმშვისა ან გაგანიერებისა გამო და აქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგან წარმოსდგება ხსენებული მოჩვენებითი არხებიო. ხოლო რაც შეეხება მარიხის მცხოვრებლებს, თუ-კი აქამდის დახელოვნებულნი არიან, როგორც გგონიათ, რატომ ისეთს არას გააკეთებენ, რომ ჩვენის ტელესკოპებით შეიძლებოდეს დანახვაო? —კითხულობს ვილნუაზი. მაგრამ რადგანაც ამ კითხვაზედ პასუხის მიცემა მხოლოდ მარიხის მცხოვრებლებს, შეეძლოთ, ამიტომ პასუხი არავინ მისცა ვილნუაზს. მეორე მხრით ვილნუაზის აზრით, მარიხის ტემპერატურა აქამდის ცვალებადია,—საშინელი სიცივეები და სიცხე იცის,—რომ იქ ცხოვრება უკანასკნელ დაბალ ქმნილებათაც-კი არ შეუძლიანთ, არამც-თუ კაცსა. მაგრამ ის, რაც ასეთ დაბალ ქმნილებათათვის შეუძლებელია, იქნება ინჟინერებისათვის სულ ადვილია? ევროპის სხვა-და სხვა ქვეყნების პრაქტიკა საკმაოდ კარგად გვაჩვენებს, რომ ინჟინერები თვით მყინვარს ქვეყნებშიც-კი პოულობენ თბილს ადგი-ლებს და საშუალებას ყინვა-სიცივის თავიდგან ასაცილებლად.

ხუმრობას რომ თავი დავანებოთ, ვილნუაზის მოსაზრებანიც ისეთისავე ჰიპოტეტურის ხასიათისა არიან, როგორც მისნი მოწინააღმდეგე შეხედულებანი.

---

## კამათი გარეშე პოლიტიკის შესახებ საფრანგეთის პარლამენტში.

საფრანგეთის პარლამენტის 29 მაისის სხდომამ მიიქცია ყურადღება მთელის ევროპის ჟურნალ-გაზეთობისა. ამ სხდომაზედ ატყდა კამათი გარეშე პოლიტიკის შესახებ. სახელდობრ, უკიდურეს მემარცხენეთა დასის წევრი მილიერანი და ადრინდელი ბულანჟისტი ლესენნი დაეკითხნენ მთავრობას და სთხოვდნენ მას—აეხსნა, თუ რა მონაწილეობა მიიღო საფრანგეთმა ჩინეთ-იაპონიის საქმეებში, რა დამოკიდებულება ჰსუფევს საფრანგეთსა და რუსეთს შორის, როგორი განწყობილება აქვს მთავრობას გერმანიასთან და სხვა... საკვირველი არ არის, რომ ქვეყნის წარმომადგენელთ ამგვარი საგანი აირჩიეს განსახილველად. უკანასკნელს დროს საფრანგეთის პოლიტიკამ უმტყუნა იმ გზას, რომელსაც რესპუბლიკის მოთავენი აქამდის ადგნენ. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ საფრანგეთის პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთის შესახებ. ჩინეთისა და საფრანგეთის ინტერესები კარგა ხანია ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან აზიაში. თვისის სამფლობელოს დაცვისათვის საფრანგეთი არა ერთხელ შეტაკებია ჩინეთს და ჯერაც არა აქვს მასთან საქმე გათავებული. ხოლო, რაც შეეხება იაპონიას, საფრანგეთს „ამომავალის მზის იმპერიასთან“ ყოველთვის კარგი, მეგობრული განწყობილება ჰქონდა; მიუხედავად ამისა საფრანგეთის მთავრობა ჩინეთის იმპერიის ინტერესის დამცველად გამოვიდა იაპონიის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში საყურადღებო იყო კიდევ ის გარემოება, რომ საფრანგეთი გვერდში ამოუდგა თავისს დაუძინებელს მტერს გერმანიას და მასთან ერთად იღვწოდა რუსეთის ინტერესი დაეცვა, ჩინეთისათვის მეგობრობა გაეწია და იაპონიის მტრად გამხდარიყო. საფრანგეთს შინაც და გარეთაც ბევრი საკუთარი დახლართული და მოუწყობელი საქმე აქვს, მაგრამ ამ ბოლო დროს თითქმის სხვისათვის ზრუნავს და ამიტომ არა თუ თვისს ინტერესს აბრკოლებს, არამედ ხშირად პროგრესიულისა და მოწინავე ერის სახელსაც იფუჭებს. მილიერანმა ამ მხრით შეჰხედა საქმეს და ჰკიცხავდა მთავრობას, რამ გაიძულათ—გარეშე პოლიტიკაში ახალი გზა აგერჩიათ, გზა, რომელიც ქვეყნის ინტერესს არ ემსახურებაო. მეორე ორატორმა, ლესენმა, სხვა გარემოებას მიაქცია ყურადღება. როგორც ვიცით, საფრანგეთმაც გაჰგზავნა თვისი გემები ჩრდილოეთის არხის გახსნაზედ დასასწრებლად. გერმანელები დღესასწაულობენ თვისის ფლოტის გაძლიერებას, თვისის საზღვაო ძლევა-მოსილობის შექმნას. ეს დღესასწაული ნამდვილი სამხედრო დღესასწაულია. თვით გერმანელნი არ ჰფარვენ დღესასწაულის ხასიათს და თვისს გემებზედ აღმართულს დროშებს აწერენ: 1870 წ. ეს ის უბედური წელიწადია, რომელშიაც გერმანიამ დასცა საფრანგეთი და ძლევა-მოსილმა ორი პროვინცია ჩამოართვა დამარცხებულს. დღემდის საფრანგეთს არ დაუვიწყნია ეს სირცხვილი, დღემდის მას ვერ მოუნელებია ის აზრი, რომ სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს თვისს მშვენიერს პროვინციებს: ელზასსა და ლოტარინგიას. ამიტომაც ლესენმა ძლიერ გაჰკიცხა მთავრობა კილის დღესასწაულზედ გემების გაგზავნისათვის.

ორივე ორატორს უპასუხა გარეშე საქმეთა მინისტრმა განოტომ. განოტომ გარკვეული პასუხი არ აღირსა ორატორებს. აღმოსავლეთის საქმეების შესახებ მან სთქვა, რომ საფრანგეთს არ შეეძლო სხვა რიგად მოქცეულიყო, რადგანაც რუსეთსა და საფრანგეთს შორის განწყობილება ავალებს ორივე სახელმწიფოს საერთო პოლიტიკას მისდიონო, რომ აღმოსავლეთის საქმეებში ჩარევით, საფრანგეთს თვისი საქმე არ გაუფუჭებიაო და სხვა. რაც შეეხება კილის დღესასწაულზედ მონაწილეობის მიღებას, განოტომ ეს გარემოება უბრალო საერთაშორისო თავაზიანობას მიაწერა და სთქვა, რომ გემების გაგზავნით საფრანგეთს იოტის ოდენადაც არ შეუცვლია ის განწყობილება, რომელიც აქამდის სუფევს ამ სახელმწიფოთა შორისო. განოტოს პასუხმა არავინ არ დააკმაყოფილა, რასაკვირველია. მისგან ყველა ელოდა გაეგო, რა მოიგო საფრანგეთმა აღმოსავლეთის საქმეებში ჩარევით, რატომ გაიხსენა საფრანგეთმა ხალხთა შორის თავაზიანობა იმ სახელმწიფოს შესახებ, რომელიც სამხედრო დღესასწაულს იხდის და საფრანგეთის სამრეწველო და სამეცნიერო დღესასწაულში მონაწილეობის მიღებაზედ უარს აცხადებს.

კამათში ჩაერია გობლე და გამოუცხადა სამინისტროს—გარკვეული პასუხი მოგვეცითო. გობლემ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ განოტო თვის პასუხში სიტყვა რუსეთთან „შეთანხმების“ მაგიერად ხმარობდა სიტყვას „კავშირს“ და მოსთხოვა — გვითხარით გადაჭრილად, არსებობს თუ არა ნამდვილად ეს კავშირიო? გობლეს უპასუხა მინისტრ-პრეზიდენტმა რიბომ. რიბომ მწუხარებით გამოაცხადა, რომ პოლიტიკურის მოსაზრების გამო, მას რა შეუძლია გარკვეული პასუხი მისცეს გობლეს. ის არწმუნებს მხოლოდ, რომ 1891 წლის შემდეგ საფრანგეთმა და ერთმა სახელმწიფომ შეათანხმეს თვისი ინტერესები და ამ შეთანხმებაში დიდი ძალა არის, რომელიც საფრანგეთისთვის აუცილებლად საჭიროა. აღმოსავლეთის საქმეებში ჩარევას ეს „კავშირი“ თხოულობდა და მასთანავე საფრანგეთს არც საკუთარი ინტერესი დაუვიწყნია: პეკინში საფრანგეთის დიპლომატებმა ტონკინის შესახებაც გაარიგეს ცოტა-რამ. კილში გემების გაგზავნას რიბო მნიშვნელობას არ აძლევს: ფორმალური და გარეგანი თავაზიანობა ვერასოდეს ვერ შესცვლის საფრანგეთის ერის გრძნობასა და ლტოლვილებასაო.

კამათის შემდეგ პარლამენტმა 345 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 102 ნდობა გამოუცხადა კაბინეტს გარეშე პოლიტიკის შესახებ.

---

# უცხოეთი

**გერმანია.** აქამდის დედოფალი მხოლოდ საქველ-მოქმედო საქმეებში იყო გართული, ამიტომ დღეს ბერლინის საზოგადოება დიდად გაკვირვებულია, რადგანაც დედოფალი გამოვიდა ჩვეულებრივ მოქმედების წრიდგან და სამხედრო საქმეს შეეხო. კირასირების პოლკის სადღესასწაულო ნადიმზედ დედოფალმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოიგონა პოლკის გამარჯვებანი ომში. შემდეგ დედოფალმა სთქვა, რომ რაზმი, რომლის საპატიო უფროსად თვით იგია, თუ შემთხვევამ მოიტანა და ომი მოხდა, კვლავ არ დაიშურებს თავს სამშობლოსა და დედოფლის დასაცველად. მან მშვენივრად დაათავა სიტყვა, რომლის შემდეგაც წარმოსთქვა სურვილი, რათა ხელმწიფის სადღეგრძელო დაელიათ. ვილჰელმ მეორემ დედოფალს მადლობა გადაუხადა და ფრიდრიჰ დიდის გამარჯვებანი მოიგონა.

**ოსმალეთი.** დიდის ვეზირის გამოცვლისა გამო აი, რას ამბობს უცხოეთის ჟურნალ-გაზეთობა. „სტანდარდის“ სიტყვით საიდ-ფაშის დიდ ვეზირად დანიშვნა იმისი მომასწავებელია, რომ ოსმალეთის მთავრობას ჰსურს კეთილად დაბოლოვდეს სომეხთა საქმე.

„თუ რომ რეფორმათა პროექტი ევროპის სახელმწიფოთა მიერ ოსმალეთის მთავრობის წინაშე წარგზავნილი სრულიად არ იქმნა მიღებული, ეს კიდევ არ არის საკმაო მიზეზი, რომ ოსმალეთს მტრად მოეკიდნენო, — ამბობს კონსერვატიული გაზეთი,—მაგალ. დაარსებულ იქმნას სომხეთში სამუდამოდ ევროპიელთა კომისია, ან სტამბოლიდგან გაწვეულ იქმნან ინგლისისა, საფრანგეთისა და რუსეთის ელჩინო. ინგლისს მუდამ ჟამს ისა ჰსურს, რომ ოსმალეთი არ დანაწილდეს, რადგანაც ეს დანაწილება უთუოდ შეარყევს ევროპის მშვიდობიანობას. მაგრამ უკიდურესს შემთხვევაში ინგლისი არც იმაზედ იტყოდა უარს, რომ ოსმალეთის ერთობა დარღვეულ იქმნას. თუ ოდესმე ოსმალეთს აუცილებლად მოელის ასეთი დანაწილება, მაშინ უთუოდ მშვიდობიანად გაიყოფენ ერთმანეთში ევროპის სახელმწიფონი მისს ადგილ-მამულს, რომ ბრძოლა არ ატყდეს და უფრო მოსალოდნელიც არის ასეთი საქმის დაბოლოვება, ვიდრე საერთო ომიო“. „დეილ ნიუზ“-ი საიდ-ფაშის დანიშვნას იმის ნიშნადა სთვლის, რომ ოსმალეთი მზაა დაუთმოს ევროპის სახელმწიფოთა მოთხოვნილებას. გაზეთის სიტყვით, ოსმალეთი ძალიან შორს წავიდა და ეხლა მისს სურვილსაც სომხეთის დამოუკიდებლობა უნდა შეადგენდეს; „ევროპის სახელმწიფოთა ენერგიული მოქმედება მალე სრულის გამარჯვებით დაგვირგვინდებაო“. მაგრამ „ინდეპანდანს ბელჟ“-ის აზრით, თუ ოსმალეთმა წინააღმდეგობა გაუწია რეფორმათა შემოღებას, მაშინ-კი ისე ადვილად არ გათავდება საქმე. მაშინ აუცილებლად საჭირო გახდება შესდგეს ექვს უმთავრეს ევროპის სახელმწიფოთა კონფერენცია, რომელსაც აზრად ექმნება წინადვე შედგენილ გეგმით ოსმალეთი ერთმანეთში გაინაწილონ. მაგრამ თუნდაც რომ ერთმა რომელმამე სახელმწიფომ განაცხადოს უარი ოსმალეთის დანაწილებისა, კონფერენცია თავისს აზრს ვეღარ განახორციელებსო. „სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ—რომ გერმანია წინააღმდეგი გახდება ასეთის დანაწილებისა და კონფერენცია არ შესდგებაო,—ამბობს ბელგიის გაზეთი. მაშინ საქმე ასეთს მიმართულებას მიიღებს: ერთის მხრივ თავს იჩენს ინგლისი, რომელსაც ასეთი დიდი გავლენა აქვს ოსმალეთზედ, მაგრამ რომელსაც საშუალება არა აქვს თავისს გავლენას დაუმორჩილოს აზიის ვილაიეტების საქმე და მეორე მხრით—ოსმალეთი, რომლის საზღვრებიც დასავლეთ-სამხრეთიდგან ღიაა და ადვილად შესავალი, მაგრამ რომელიც თითს არ დააკარებინებს ინგლისს არზრუმის მიდამოებში. მაშინ სამოქმედო ასპარეზი რუსეთს დარჩება. შეიძლება ვსთქვათო,—დასძენს, ბელგიელი გაზეთი,--რომ ხსენებულს საქმეში პირველი ხმა რუსეთს ეკუთვნის, რომელსაც აღმოსავლეთით ოსმალეთი თითქმის ხელში უჭირავსო.

---

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

მისტრის გორდონი „მეცხრამეტე საუკუნე“-ში იუწყებს ინგლისიდგან ფრიად საყურადღებო ამბავს ყველასათვის საინტერესო საგნის შესახებ, თხოვდებიან თუ არა ქალნი, რომელთაც უმაღლესი სწავლა მიუღიათ. ხსენებულ ქალთა უმეტესი ნაწილი სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო არა თხოვდება. როგორც სჩანს, უმაწვილ სწავლულ ქალთა რიცხვიდგან კემბრიჯში, რომელთაც უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი მიუღიათ, ათში მხოლოდ ერთი თხოვდება. ძალიან იშვიათად თურმე თხოვდებიან ისინი, ვისაც საშუალო საუკუნოებისა და ახალი ენები შეუსწავლიათ. ოქსფორდშიაც ასევე იქცევიან სწავლულნი ქალნი. ამ ქალთა უმეტესი ნაწილი მასწავლებლებად მიდიან. 1871 წლიდგან ნიუჰემის სასწავლებელში 720 ქალი სწავლობდა კურსებზედ; ამათში ამ ჟამად 374 მასწავლებლებად ან დოქტორებად არიან და 20-დის ამერიკაში წავიდნენ, ან კოლონიებში გადავიდნენ საცხოვრებლად. ერთი ამათგანი მებაღეა, ერთი კბილთების მწკნელი, ორი ექიმია, ორი მისსიონერია და ორიც მდივნად. 85 ქალთაგან, რომელთაც სამათემატიკო ნაწილში დაასრულეს სწავლა, მხოლოდ 5 გათხოვდა, 65 კლასიკ ქალთაგან 8—, 33 ფილოსოფიის ნაწილზედ სწავლადამთავრებულთაგან 10 გათხოვდა და 64 ისტორიკოს ქალთაგან, რომლებიც საშუალო საუკუნოებისა და ახალს ენებს სწავლობდნენ, მხოლოდ ერთად-ერთი გათხოვდა. მაგრამ გორდონს არ მოჰყავს თავისს წერილში არავითარი მიზეზი, რისთვის არა თხოვდებიან სწავლულნი ქალნი—იმიტომ რომ სამეცნიერო მეცადინეობა უშლით ხელს, თუ ბუნებით უვარგისნი იყვნენ ქორწინებისათვის.

---

## წერილები რედაქციის მიმართ.

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო!

თქვენის პატივცემულ გაზეთის მე-115 №-ში იყო შენიშვნა ვიღაც ლოლუას თაობაზედ, რომ იგი ს. ბ. თოფურიას საავადმყოფოში მოიყვანეს მძიმედ დაჭრილი და იქვე მოკვდაო. ვიჩქარი გაცნობოთ, რომ არც წინად და არც ეხლა საავადმყოფოში და საკუთრად ჩემთან მაგ გვარი ავადმყოფი არ ყოფილა.

ექ. ს. ვოინო.

ქუთაისი, 6 ივნისი, 1895 წ.

—

თუ კი ერთხელ მაინც თავისს სიცოცხლეში შესულა ვინმე საპყრობილეში, უნახავს ტუსაღების ცხოვრება, მუშტრის თვალით დაუთვალიერებია და ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია, ადვილად წარმოიდგენდა ის მათს არა სანატრელსა და ჭეშმარიტად რომ საბრალო და შესაზარს მდგომარეობას და ვგონებ იქნება თვალთაც-კი უნებლიედ ცრემლები გარდმოსცვიოდა. არა ერთი, არამედ ხშირად ორმოცი ‘ ორმოც-და-ათიც-კი ერთად ერთს ოთახში, დაკეტილს კარებში, ოთხ კედელ შუა გამომწყვდეული, მოკლებული შრომა-საქმეს, ყოველ სულიერს საზრდოსაც-კი, ზოგი ერთის და სხვანი რაოდენიმე წლობით, გულ-ხელ დაკრებილნი, მწარედ დაფიქრებულნი,—მიცემულან უკიდურესს სასოწარკვეთილებას; მისს ოხვრა-კვნესას საზღვარი არა აქვს, ჰფიქრობს თავისს მწარე და შავს ბედზედ. ნუ ვიტყვით იმას, თუ რა გულ-ამოსკვნით იგონებს ზოგი ცოლს, ზოგი შვილებს, ზოგი ნათესავთ და ნაცნობ მეგობართ, აღარ იცის რა ჰქმნას, რით მოუაროს თავსა,—აი სწორედ ესრეთს უბედურს მდგომარეობაში მას სჭირია გამხნევება—გართობა, სულიერის საზრდოს ძლევა. მის ცოტად თუ ბევრად ზნეობრივ მდგომარეობის განკეთილება—გასწორება, სწავლა-დარიგება—ამნაირს ყოფაში ჩავარდნილს დღეს გორის საპყრობილის ტუსაღებისას, მე, როგორც მღვდელს და აგრეთვე დირექტორს ამავე სატუსაღოს სამზრუნველო კომიტეტისას, მმართებს რასაკვირველია ვალი, ვალდებული ვარ არა თუ იმისა, რომ მღვდელ-მოქმედება აღვუსრულო, არამედ ისიც, რომ შეძლებისა დაგვარად ვებაასო ხოლმე იმათ ქრისტიანულ ზნეობრივ სარწმუნოებაზედ, რასაც შეძლებისა დაგვარად ვასრულებ, როდესაც-კი ამაზედ დრო და შემთხვევა ნებას მაძლევენ; მაგრამ ესრეთი ბაასი მათთან ჩემის მხრით თუმცა რასაკვირველია სასარგებლოა, რისთვისაც ხშირად კმაყოფილების სურვილს აცხადებენ ტუსაღები, მაგრამ საკმაო-კი

არაა, თუ მათ არ მიეცემათ მუდმივი სულიერი საზრდო და ეს-კი შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც მივცემთ საკითხავს წიგნებს, არ მოვაკლებთ როგორც ქრისტიანულს—ზნეობრივის შინაარსისას, ისრეც სხვა-და-სხვა სასარგებლო და გამოსადეგ წიგნებს.—აი ესეთმა ზნეობრივმა ვალმა მაიძულა მე შევდგომოდი უფასო წიგნთ საცავის დაარსებას გორის საპყრობილეში, რომელიც დღევანდლამდე არ იყო და რომლის მონატრენი არიან ტუსაღები, თუ-კი მათ ესეთს სიკეთეს ვინმე აღმოუჩენს. ხსენებულს წიგნთ საცავს შევწირე ჩემის ღარიბის ჯიბით მონასყიდი შემდეგი წიგნები: 1) „მწყემსი“ და „Пастырь“; 2) ცხოვრება წმიდათა საქართველოს ეკკლესიისა, 3) 3 ვეფხვს ტყაოსანი პატარა ტანისა; 4) საქართველოს ისტორია ჯანაშვილისა; 5) თხზულებანი: აკაკი წერეთლისა ნაწ. 1, 2; 6) რაფაელ ერისთავისა; 7) ყაზბეგისა ნაწ. 1. 3, 4.; 8) ვახ. ორბელიანისა: 9) გიორგი წერეთლისა; 10) ილია ჭავჭავაძისა ნაწ. 1, 3) 11) ცოდვა სიყვარულისა; 12) კრებული ნიკიტინისა; 13) მაცი ხვიტია—ფურცელაძისა და 14) თხზ. დავითაშვილისა; ეს წიგნები ყდებით დაკაზმულნი, ღირებულნი ოც-და-შვიდ მანეთად (27 მ.) გარდაეცა სატუსაღოს სამზრუნველო კომიტეტს.—რადგან თვით სამზრუნველო კამიტეტს სატუსაღოსას არა აქვს საშუალება თავისით მოისყიდოს წიგნები წიგნთ-საცავისთვის,—ამისათვის უმორჩილესად ვთხოვ ყველას, ვისაც-კი წარმოუდგენია ტუსაღების შესაბრალი მდგომარეობა, ვინც მათთვის გულ-შემატკივარია, ვინც მათი, როგორც ბედით ჩაგრულთ, შემბრალებელია და ვისაც გული უცემს საზოგადოდ ხალხის ზნეობით განკვეთილებისათვის, საკეთილო საქმისათვის, ნუ დაიშურებენ თავიანთს წვლილს, თუ ფულით, თუ წიგნებით, რაც დიდის მადლობით იქმნება მიღებული და გაზეთის საშუალებით გამოცხადებული. კეთილ-ინებეთ ამ ადრესით გამოგზავნა: ქ. გორს. ბლაღოჩინს—მღვდელს გორის ტაძრისას იოელ. გამრეკელს.

ბლაღოჩინი გორის ტაძრის მღვდელი იოელ გამრეკელი.

7 ივნისი, 1895 წ.

# დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

**ბორჯომი**, 8 ივნისი. დედოფალი და ტახტის მემკვიდრე ოთხშაბათს, ორს საათზედ, აბასთუმანიდგან გამოვიდნენ და $6^1/_2$ საათზედ საღამოთი ბორჯომში მობრძანდნენ. მათ თან ახლდათ სასახლის მინისტრი, სეპატიო ასული გოლენიშჩევისა, საპატიო ასული კუტუზოვისა, ქ-ნი დელეკოლი, ლეიბ-მედიკი ველიამინოვი, გენერალ-ადიუტანტი შერემეტევი, გუბერნატორი შარვაშიძე და და სხვანი. ბორჯომის გარედ მათ მიეგებათ დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე. შეუწყვეტელი წვიმა მოდიოდა მგზავრობის დროს, ღამე სასახლეში გაატარეს.

დღეს თანადასწრებით ტახტის მემკვიდრისა დიდის მთავარის ნიკოლოზ მიხეილის ძის საგარაკოში ახალი სასახლის კურთხევა იქნება.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

6 ივნისი.

**პარიზი**. დღეს რუსეთის ელჩმა მორენჰეიმმა დიდის ამბით გადასცა რესპუბლიკის პრეზიდენტს წმ. ანდრია პირველ წოდებულის ორდენი. მორენჰეიმი მივიდა ელისეს სასახლეში მთელის საელჩოთი 2 საათზედ. პრეზიდენტთან იყვნენ მინისტრ-პრეზიდენტი რიბო, გარეშე საქმეთა მინისტრი განოტო და წევრნი პრეზიდენტის სამხედრო და სამოქალაქო კაბინეტისა. მორენჰეიმმა შემდეგის სიტყვით მიჰმართა პრეზიდენტს: „ჩემის უავგუსტოესის მბრძანებელის ხელმწიფე იმპერატორის სახელით მაქვს პატივი მოუძღვნა თქვენს აღმატებულებას საიმპერატორო ორდენი, რომელიც მისი უდიდებულესობა გთხოვთ მიიღოთ ნიშნად თქვენდამი მის მეგობრობისა. ამ ჯილდოთი იმპერატორი ხელახლავ უმტკიცებს საფრანგეთსა და მისს დიდად პატივცემულს წინამძღოლს თვისს მეგობრულს განწყობილებას“. პრეზიდენტმა უპასუხა: „ბედნიერი ვარ, რომ თქვენის ხელიდგან ვიღებ საიმპერატორო ორდენს. გთხოვთ—იყოთ გამომხატველი მისის უდიდებულესობის წინაშე ჩემის სიხარულისა იმის გამო, რომ ამ ჯილდოთი ხელმწიფე აცხადებს იმავე სიყვარულს საფრანგეთისადმი, რომელსაც გრძნობდა დაუვიწყარი მისი მშობელი. მე მიხარიან, რომ დღესაც მომეცა საშუალება საფრანგეთისაგან და ჩემგანაც ვუსურვო იმპერატორს ბედნიერება და მრავალჟამიერი მეფობა“.

8 ივნისი.

**იაროსლავლი**. სამშაბათს დაიწვა ქალაქი დანილოვი. რამდენიმე კაციც იმსხვერპლა ცეცხლმა.

**პარიზი**, 6 მაისი. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მადლობის დეპეშა გაუგზავნა რუსეთის ხელმწიფეს წმ. ანდრია პირველ-წოდებულის ბოძებისათვის.

**ვენა**, 6 მაისი. გაზეთი „ნეი ფრეი პრესს“-ი ამბობს, რომ დროებით სამინისტროს შედგენა მიენდობა ქვედა-ავსტრიის მთავარ-მართებელს გრაფს კილმანზეგს.

კილის დღესასწაული

**კილი**, 6 მაისი. ქალაქი სადღესასწაულოთ ეწყობა. ნავთსადგურზედ დიდი მოძრაობაა. დღეს პრინცმა ჰენრიხმა ინახულა საფრანგეთის ადმირალი მენარი.

**ჰამბურგი**, 6 მაისი. დღეს მობრძანდა აქ იმპერატორი ვილჰელმი, საქსონიის მეფე, დიდი ჰერცოგი ჰესსენისა და ჰერცოგი კობურგისა.

იმპერატორს ხალხი აღტაცებით მიეგება ყველგან.

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. ამათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სტროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

ი. ფ. ზროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაშეტიანცი, $1—1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, $7—7^1/_2$ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის [illegible] აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)



ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინოვის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით იძლევა ქირით პადვალი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. ფასი ეკითხოს „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—3)



დაიბეჭდა და ისყიდება ვახუშტის-მიერ შედგენილი
საქართველოს
გეოგრაფია
ქართლი
II წიგნი
გამოც. მ. ჯანაშვილისა. ფასი 25 კაპ.
ისყიდება აგრეთვე: „სამცხე“ (ფ. 25 კ.), „საქართ. ისტორია“ (ფ. 70 კ.), „საქართ. საეკკლ. ისტ.“ (ფ. 45 კ.), „ისტ. მართლ-მადიდ. ეკკლ.“ (ფ. 40 კ.), „საუნჯე მე-X საუკ.“ (ფ. 20 კ.).



ცხოვრება
შვიდთა ყრმათა ეფესელთა
თარგმნილი მ. შარაძის მიერ
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის
ფასი ერთი შაური
ისყიდება:
წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.
ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.
სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.
ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანიშვილის მაღაზიაში.
თელავში. ი. იმერლიშვილთან.



# „ივერია“

1895 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 50 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისას გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.



დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა 2,500,000 მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და აქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების საგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, ეილოროვ ალესანდრეს ძის იგანოვის სადგომში.

(100—721—»)


Дозволено цензурою, Тифлисъ 8 го Іюня 1895 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე